ყვარლის მუნიციპალიტეტის წყლის რესურსების შეფასება და წყალსამეურნეო გამოყენება

გიორგი ბეციაშვილი

ელ-ფოსტა: giorgi.betsiashvili034@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

წყლის რესურსებზე ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენის შედეგად მნიშვნელოვნად იცვლება მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, ამასთან სხვადასხვა სექტორებს შორის წყლის მოხმარების გაზრდა კიდევ უფრო აქტუალურს გახდის მუნიციპალიტეტის დონეზე რესურსების შეფასებას და ეფექტურ გადანაწილებას სადღეისო პრობლემტიკის გათვალსწინებით. წყლის რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებული საკითხები მულტიდისციპლინურია და ეხება მთელ რიგ სექტორებს და დაინტერესებულ მხარეებს.

ნაშრომში შეფასებულია ყვარლის მუნიციპალიტეტის წყლის რესურსები, კერძოდ ძირითადი აუზების საშუალო წლიური ხარჯები, ჩამონადენის შიგაწლიური განაწილება, მაქსიმალური ხარჯები და სხვა. ყურადღება გამახვილებულია ასევე სხვადასხვა სეზონებისათვის მინიმალურ ჩამონადენზე და წარმოდგენილია წყალმოხმხმარების სხვდასხვა სექტორისათვის (მოსახლეობა, ირიგაცია, ენერგეტიკა) წყლის რაოდენობრივი მახასიათებლები. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ცდას მუნიციპალიტეტის ფარგლებში შეფასდეს წყლის რესურსები და ოპტიმალურად მოხდეს მისი გადანაწილება წყალსამეურნეო კომპლექსის მონაწილეებს შორის.